რამინ ცინარიძე - ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი რიჟვაძე - დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ინკლუზიური განათლების დაფინანსება და თანამედროვე გამოწვევები

განათლების მიღება ყველა ინდივიდის ფუნდამენტური და კონსტიტუციური უფლებაა. ნებისმიერი ინდივიდის განათლება ესაა ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალში, რაც საბოლოოდ საზოგადოებას მწარმოებლური უნარებით უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ნებისმიერი სახელმწიფო განათლების ხელმისაწვდომობას უნდა უზრუნველყოფდეს და შესაბამის პირობებს ქმნიდეს ნებისმიერი შესაძლებ-ლობების მქონე ადამიანისათვის, რადგანაც ნებისმიერი განვითარების მოსურნე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს მაღალხარისხიანი განათლება მთელი მოსახლეობისათვის.

განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცის ანალიზით დასტურდება პირდაპირი კავშირი განათლების დაფინანსების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ეფექტური ინიციატივების გატარება, განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციის სწორი გადანაწილება და ეფექტური განათლების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საჭირო უნარების განვითარებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები საზოგადოებაში ნაკლებად იყვნენ ჩართული, 2004 წლამდე კი არ იყვნენ უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო სივრცეში სპეციალურად ადაპტირებული პირობებით. ქვეყნის საგანმანთლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ ინკლუზიური განათლების დანერგვა-განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად იქნა აღიარებული. ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაინერგა ხუთი ქვეპროგრამის განხორციელება - მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობა, ინტეგრირებული კლასების დაფინანსება, პროფესიული ინკლუზია, სოციალური ინკლუზიალი, განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა. 2006 წლიდან „გერმანიის კარიტასთან“ თანამშრომლობითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შემდეგ წლებში სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური მასწავლებლის შრომის ანაზღაურების სქემის დანერგვით და მშპ-ში განათლების სფეროზე გაწეული დანახარჯების ეტაპობრივი ზრდით ინკლუზიური განათლება ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ამ ღონისძიებებმა საბოლოოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საგანმანათლებლო სისტემებში ჩართვას შეუწყო ხელი. აღნიშნული „სიკეთით“ დღეისათვის ქვეყანაში 8000-ზე მეტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე სარგებლობს. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე ინკლუზიური განათლება დაფინანსდა - 42,6 მლნ ლარით, პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების ანალოგიურად გათვალისწინებული იქნა სპეციალური მასწავლებლების ანაზღაურების ზრდა 125 ლარით. 2021 წელს ჩვენი ქვეყნის განათლების ისტორიაში პირველად ჩატარდა სპეციალური მასწავლებლის გამოცდა.

საკონფერენციო ნაშრომში კვლევის ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით - შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება-შეჯამებით - განხილულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების სქემის დინამიკა, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები, ხოლო ანალოგიებისა და შედარების მეთოდების გამოყენებით კი - სპეციალური მასწავლებლის სამუშაოს სპეციფიკა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში. დასკვნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები და წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების დაფინასების ზრდის სტრატეგიის სრულყოფის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, დაფინანსება, სპეციალური მასწავლებლის შრომის ანაზღაურება.

Ramin Tsinaridze - Doctor of Business Management, Associate Professor, Faculty of Economics and Business / Department of Finance, Banking, and Insurance, Shota Rustaveli Batumi State University
Giorgi Rijvadze - Doctoral Student, Business Administration, Faculty of Economics and Business / Department of Finance, Banking, and Insurance, Shota Rustaveli Batumi State University

Financing of Inclusive Education in General Educational Institutions and Modern Challenges

Education is a fundamental and constitutional right of every individual. Education for any individual is an investment in human capital, ultimately providing society with productive skills. In turn, any state must ensure access to education and create appropriate conditions for individuals with all kinds of abilities, as providing high-quality education for the entire population is vital for any country aspiring to development.

Analyzing the educational space of developed countries confirms a direct connection between increased educational funding and quality improvement, which means that effective initiatives must be implemented, proper distribution of investments in education must be ensured, and effective educational strategies must be developed to foster the development of necessary skills in students.

In the years following Georgia's independence, children with special educational needs were less integrated into society, and until 2004, they were not provided with specially adapted conditions. Since this period, with ongoing reforms in the country's educational system, the development of inclusive education have been recognized as a state priority. Within the framework of the program to promote inclusive education, five sub-programs were implemented. Since 2006, with cooperation with Caritas Germany and financial support from the Federal Ministry for Economic Cooperation and Development of Germany, and later through the introduction of a payment scheme for special teachers by the state, along with a gradual increase in expenditures in the education sector as a percentage of GDP, inclusive education has become one of the priority directions of educational reform in our country. This has ultimately facilitated the integration of students with disabilities into educational systems. Today, more than 8,000 students with special needs benefit from this "benefit." In the 2023 state budget, inclusive education was funded with 42.6 million GEL, and within the program, a salary increase of 125 GEL was provided for special teachers. In 2021, for the first time in our country's educational history, an exam for special teachers was conducted.

Our paper examines the dynamics of the salary scheme for teachers of students with special needs in general educational institutions to promote inclusive education, its positive and negative aspects, and, through the use of analogy and comparison methods, the specifics of the work of special teachers in Georgia and abroad. In conclusion directions for improving the strategy for increasing the financing of inclusive education are presented.

Keywords: Inclusive Education, Financing, Special Teacher's Salary.